(1995)

<u>მემორანდუმი</u> დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერის შესახებ

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწოფოები,

ეყრდნობიან რა მათ შორის ისტორიულად ჩამოყალიბებულ კავშირურთიერთობას,

ხელმძღვანელობენ რა იმით, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე ქვეყნებს შორის კონფლიქტების მოუგვარებლობა ეწინააღმდეგება თანამეგობრობის არსებობის საფუძველში ჩადებულ ძირითად პრონციპებს,

ერთგულობენ რა იმ მიზნებს და პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის წესდებებსა და თანამეგობრობის ფარგლებში მიღებული დოკუმენტებში, მიიჩნევენ რა, რომ მშვიდობისა და სტაბილურობის მხარდაჭერა სახელმწიფოთაშორისის ურთიერთობაში არის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ფუნქციონირების განუყოფელი პირობა, რომელიც უზრუნველყოფს როგორც თითოეული სახელმწიფოს ეკონომიკურ, სოციალური-პოლიტიკურ განვითარებას,

აღიარებენ რა, რომ მშვიდობის შენარჩუნება, როგორც მთელი თანამეგობრობის, ისე თითოეულ სახელმწიფოში, მის საყოველთაოდ აღიარებული საზღვრების ფარგლებში, შეესაბამება ამ სახელმწიფოთა ხალხების ინტერესებს,

აცხადებენ შემდეგს:

1. თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები თავს შეიკავებენ ერთმანეთზე ზემოქმედების სამხედრო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ რაიმე სხვა ფორმისაგან.

2. წინამდებარე მემორანდუმის ხელმომწერ სახელმწიფოებს განზრახული აქვთ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობათა შესაბამისად საკუთარ ტერიტორიებზე აღკვეთონ ორგანიზაციების, ჯგუფების შექმნა, მათი ან ცალკეულ პირთა საქმიანობა, რომელიც გამიზნული იქნება მემორანდუმის ხელმომწერ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების ხელშეუხებლობის წინაარმდეგ, ან მიზნად დაისახავს ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავებას, აგრეთვე მათი სახელმწიფო მოწყობის ხელყოფას.

3. სახელმწიფოები ადასტურებენ ერთმანეთის არსებული საზღვრების ურღვევობას და ილაშქრებენ ნებისმიერი მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც ძირს უთხრის მათ ურყეობას, აგრეთვე საზღვრებთან და ტერიტორიებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკითხების თაობაზე ყოველგვარ დავას გადაწყვეტენ მხოლოდ მშვიდობიანი საშუალებებით.

4. ისეთი სიტუაციის წარმოქმნის სემტხვევაში, რომელიც ეხება წინამდებარე მემორანდუმის ხელმომწერი რომელიმე სახელმწიფოს უშიშროების ინტერესებს, მას შეუძლია სტხოვოს ტანამეგობრობის სხვა სახელმწიფოს დაუყონებლივ გამართონ კონსულტაციები.

5. სახელმწიფოები თავს იკავებენ წინამდებარე მემორანდუმის ხელმომწერი სხვა მონაწილე სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უშუალო ან ირიბი ჩარევისაგან.

6. სახელმწიფოები თავს შეიკავებენ თანამეგობრობის მონაწილე ნებისმიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ კავშირებსა და ბლოკებში მონაწილეობისაგან.

7. თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, თავიანთ ტერიტორიებზე განახორციელებენ ღონისძიებებს სეპარატიზმის, ნაციონალიზმის, შოვინიზმისა და ფაშიზმის ნებისმიერი გამოვლინების აღსაკვეთად.

8. სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას არ შეუწყონ ხელი სხვა მონაწილე სახელმწიფოების ტერიტორიებზე სეპარატისტულ მოძრაობებს, აგრეთვე სეპარატისტულ რეჟიმებს, თუ ასეთები წარმოიქმნება; არ დაამყარონ მათთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სხვა კავშირურთიერთობა; არ დაუშვან მათ მიერ თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოთა ტერიტორიების და კომუნიკაციების გამოყენება; არ გაუწიონ მათ ეკონომიკური, ფინანსური, სამხედრო და სხვა დახმარება.

9. სახელმწიფოები მხარს დაუჭერენ ერთმანეთის ძალისხმევას, რომელიც მიმართული იქნება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მონაწილე სახელმწიფოებს შორის ნდობისა და უშიშროების ღონისძიებათა შემდგომი განმტკიცებისათვის.

შესრულებულია **1995 წლის 10 თებერვალს** ქალაქ ალმათიში ერთ ეგზემპლარად რუსულ ენაზე. დედანი ეგზემპლარი ინახება ბელარუსის რესპუბლიკის მთავრობის არქივში, რომელიც წინამდებარე მემორანდუმის ხელმომწერ ყოველ სახელმწიფოს გაუგზავნის მის დამოწმებულ ასლს.

ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრი სახელმწიფოების მეთაურების მიერ.

მემორანდუმს სომხეთის რესპუბლიკამ მოაწერა ხელი შენიშვნით: ~სომხეთის

განსაკუთრებული მოსაზრების გათვალისწინებით და მე-7 და მე-8 პუნქტების გამოკლებით~.

(Сборник документов, касающихся вопроса урегулирования конфликта в Абхазии, Грузия, принятых в период 1992 по 1999 г.г., составитель Г. Уридия, Тб., 1999, გვ. 50-51. საკუთარი თარგმანი)